KARR1362123317220

№13-16754
21 / თებერვალი / 2020 წ.

საქართველოს გენერალური პროკურორის
მოადგილეს ბატონ გიორგი გოგაძეს

საქართველოს გენერალური პროკურატურის
ადმინისტრაციის უფროსის
მაგდა კაპანაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ 2020 წლის 23 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით საქართველოს გენერალურ პროკურატურას სამუშაო ვიზიტით ეწვევა სომხეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის დელეგაცია, სომხეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილის ხელმძღვანელობით, დელეგაცია წარმოდგენილი იქნება 8 პერსონით.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია სამუშაო შეხვედრები საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და თბილისის პროკურატურაში, ექსკურსია მცხეთაში სვეტიცხოვლის და ჯვრის მონასტრის მონახულება, ასევე დაგეგმილია სტუმრების ლანჩით გამასპინძლება და სამახსოვრო საჩუქრების გადაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაავალოთ თქვენდამი დაქვემდებარებულ შესაბამის დეპარტამენტს უზრუნველყოს დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი ლანჩის, რუსულენოვანი გიდის მომსახურების და სამახსოვრო საჩუქრების კერძოდ, ქართული წარმოების 6 ერთეული შარფის შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურები.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მაგდა კაპანაძე